პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა 28 დეკემბერი
№ 298 (17940)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ДИДი შრომითი გამარჯვება

ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — საიჯარო სამუშაოებს და ტერმინამდე სანაცვლოდ ნიმუშავრეთა ამოქმედების მეათე ხუთწლედის ადგილი [illegible] შესრულებას.

მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე თქვენ გადაწყვიტეთ დასავლეთ ციმბირის, აღმოსავლეთის, კომის ასსრ რესპუბლიკის, ქვეყნის სხვა რაიონების ნავთობისა და გაზის საბადოთა მოწყობის, მძლავრი მილსადენი მაგისტრალების, გაზის გადასამუშავებელი ქარხნების მშენებლობის დიდი მიზნობრივი ამოცანები, რაც არსებითი წვლილია ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომ განვითარებაში, სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში.

მეცხრე ხუთწლედთან შედარებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 36 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დასავლეთ ციმბირში 2,3-ჯერ. ამოქმედდა 50 ათასი კილომეტრი მილსადენები, 300-ზე მეტი საკომპრესორო და სატუმბი სადგური, წელიწადში 15,6 მილიარდი კუბური მეტრი გაზის საერთო სიმძლავრის გაზის გადასამუშავებელი ქარხანა.

თქვენ მიერ მოპოვებული წარმატებანი მძიმე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მილსადენი სატრანსპორტო სისტემების მშენებლობისა და საბადოთა მოწყობის დასახული რთული ამოცანების გადაწყვეტისადმი ნოვატორული მიდგომის შედეგია.

მომავალ ხუთწლედში თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ნავთობისა და განსაკუთრებით გაზის მრეწველობის, მილსადენი ტრანსპორტის სიმძლავრეთა გადიდების, მათი საექსპლოატაციო ხიმედოობის ამაღლების კადევ უფრო პასუხსაგები ამოცანები.

გამოთქვამ მტკიცე რწმენას, რომ სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მშრომელები კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებენ სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის პარტიის გეგმების განსახორციელებლად, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითს გამარჯვებებს, წარმატებულ მუშაობას მეთერთმეტე ხუთწლედში, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენცია

27 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII საქალაქო კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო განახლებულ კამათში მონაწილეობდნენ: პარტიის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. რ. კუსხალაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ი. ჩხიკვიშვილი, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პროფკომის თავმჯდომარე ე. კ. სოხაძე, პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. გოგლიძე, 150-ე საშუალო სკოლის პედაგოგი მ. ბ. უგრეხელიძე, კონსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი თ. ე. აბულაძე, პარტიის თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი ო. შ. ხიზანიშვილი, საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ი. ჭალაგანიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი.

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

ამტკიცებენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მოხსენებას.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

კონფერენცია გადადის დღის წესრიგის მესამე საკითხზე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების და თბილისის პარტიული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატების არჩევნები.

შესვენების შემდეგ ცხადდება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ზელმძღვანელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატების არჩევნების გამო გამართული ფარული კენჭისყრის შედეგები.

მტკიცდება დამთვლელი კომისიის ოქმი.

ტაშის გრიალში იღებენ მისასალმებელ წერილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

თაობათა ურღვევი ერთიანობის, პარტიისა და ხალხის საქმისადმი მათი ერთგულების ამაღელვებელ დემონსტრაციად გადაიქცა საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაციის მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი.

ამით მთავრდება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციის მუშაობა.

დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია თ. ნ. მენთეშაშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ნ. ვ. გურგენიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან ნ. შ. ენდელაძე და ზ. შ. მესხიშვილი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩიეს ბ. დ. ბაბუნია, ნ. ვ. გურგენიძე, ნ. შ. ენდელაძე, ნ. შ. მაისურაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. შ. მესხიშვილი, ნ. ნ. ნეფედოვი, გ. ე. სარალიძე, ა. ი. შირინკინი, ვ. ი. ჭელიძე, ვ. ს. ჯანჯღავა. ბიუროს წევრობის კანდიდატებად აირჩიეს ე. ი. კანდელაკი, ჯ. ვ. მარგველიძე, კ. შ. თორდია, მ. ა. ფულაძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დაამტკიცა: საორგანიზაციო განყოფილებისა — ე. ი. კანდელაკი, პროპაგანდისა და აგიტაციისა — ა. ნ. იმედაშვილი, მრეწველობისა და ტრანსპორტისა — ო. ა. ვადაჭორია, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობისა — ა. გ. ჭანტურია, ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოებისა — ა. ვ. კაპანაძე, ადმინისტრაციული ორგანოების — თ. შ. ტურაგელიძე, საერთო განყოფილებისა — მ. ნ. ჩიქოვანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცეს ვ. ა. ჩიმასხიძე.

გაზეთ „თბილისის“ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა ნ. უ. ჯაფი.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორად დაამტკიცეს ა. ვ. ასლანიდი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც ამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ვ. სალარიძე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია

26 და 27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიული კონფერენცია, რომელმაც მოიხმინა და განიხილა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თ. ნ. მენთეშაშვილის მოხსენება და შეაჯამა წინა კონფერენციის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები. მან დასახა მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი საბრძოლო მიჯნები შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროგენტისა პარტიის XXVI ყრილობისთვის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა მეთერი რესპუბლიკისათვის იმ ისტორიული დადგენილების განხორციელების შედეგების შეჯამების ნიშნით, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე და რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას რესპუბლიკაში ლენინური ნორმებისა და პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპების აღდგენისათვის, პარტიული და სახელმწიფო ფიფლისტინის განმტკიცებისათვის, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის მშრომელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებამ რესპუბლიკის მიერ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით. მისი გულითადი სიტყვები ქალაქის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკისა და ქვეყნის, მშრომელებს ფრთას ასხამს ახალი მიღწევებისათვის, უდიდეს ენერგიას მატებს მეთერთმეტე ხუთწლედის ახალი სიმაღლეების დასალაშქრავად. ახალი ხუთწლედის გეგმების განხორციელებას ისინი იწყებენ ყოველმხრივ მომზადებულნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისად.

XXXVIII პარტკონფერენციის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ იგი გაიმართა ჩვენი პარტიისა და ხალხის, მთელი ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენების წინ. ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამდე. მომავალი წლის თებერვლის ბოლოს მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა, რომლისკენაც არის მიპყრობილი დღეს მთელი ჩვენი საქმეები და ფიქრები.

კონფერენციის წინ ქალაქში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. მისი შედეგების შეჯამებისას ქმაყოფილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი გაიმართა მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, მაღალი პრინციპულობისა და გაწეული მუშაობის კრიტიკული ანალიზის ნიშნით.

არჩევითი ორგანოები შეიავსო ახალი ძალებით, თითქმის მესამედით განახლდა მათი შემადგენლობა. პარტიულ კომიტეტებსა და პარტბიუროებში მოვიდნენ ახალი იდეებით, ახალი აზრებით, ძალითა და ენერგიით აღსავსე ამხანაგები, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ჩვენი ნათელი კომუნისტური ხვალინდელი დღისათვის, რომლებიც მზად არიან არ დაზოგონ თავი დიდი ლენინის საქმისათვის, კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის.

საანგარიშო პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, თვისებრივად გაუმჯობესდა მისი შემადგენლობა. ამჟამად იგი 90 ათასზე მეტ კომუნისტს აერთიანებს. თბილისის პარტორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 81 პროცენტს შეადგენენ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული კომუნისტები, მათი ნახევარზე მეტი შრომობს მატერიალური წარმოების სფეროში. პირველად პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა 105 ერთეულით გაიზარდა. ამ პერიოდში პარტიაში მიიღეს 4.700-ზე მეტი კაცი. მან მიიღო ახალი, ახალგაზრდა შევსება, რომელიც გამოიჩეკა დიდი ცოდნით და მაღალი იდეურ-პოლიტიკური მომზადებით, მიზანდასახულობითა და შეუპოვრობით მუშაობაში, ყოველივე ახლის, მოწინავისადმი მისწრაფებით.

სანმეშუშო კომუნისტურ ქალაქად თბილისის დადაქცევისათვის პრაქტიკული საქმიანობის მასშტაბური და კონკრეტული ამოცანები, აღინიშნა კონფერენციაზე, დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. უსაბაკოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თუ როგორ განსაორციელეს თბილისელმა კომუნისტებმა პარტიის მითითებანი, როგორ გაამართლეს მისი მაღალი ნდობა — ეს ის არის XXXVIII პარტკონფერენციის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა.

XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია აგვირგვინებს არა მარტო საანგარიშო პერიოდს, არამედ მთელ მეათე ხუთწლედსაც, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქალაქის პარტიული ორგანიზაციის გმირული შრომითი მიღწევებისა და სახელოვანი საქმეების ისტორიაში, რესპუბლიკის დედაქალაქის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ეკონომიკის დარგში მეათე ხუთწლედის მანძილზე განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ის, რომ ქალაქის მშრომელებმა მრეწველობაში მიაღწიეს იმ დარგების უპირატესი განვითარების ტემპს, რომლებიც განსაზღვრავს ტექნიკურ პროგრესს, ავრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და ფონდაღჭურვილობის დაჩქარებულ ზრდას, პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებას, წარმოების სტრუქტურის სრულყოფასა და მართვის გაუმჯობესებას.

ქალაქის მრეწველობამ ვადამდე, 12 სექტემბრისათვის შეასრულა წარმოების მოცულობის ზრდის ხუთწლიანი დავალება. 1975 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 42 პროცენტით და მეტად, ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებთან გათვალისწინებული 38 პროცენტის ნაცვლად. წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდით.

დადებითი ძვრები მოხდა კაპიტალური მშენებლობის დარგშიც. ხუთწლედის მანძილზე ქალაქში ათვისებულია თითქმის 2 მილიარდი მანეთის კაპიტალდაბანდებანი, რამაც შესაძლებელი გახადა მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე ამოქმედებულიყო გლდანის სამკერვალო-ტრიკოტაჟის ფაბრიკა, პურის ქარხანა, რძის კომბინატი, კამეოლაუდის კომბინატის ახალი სიმძლავრეები და სხვა. ყოველწლიურად მწყობრში დგებოდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაღაღები, სპორტული კომპლექსები, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, პროფტექნიკური განათლების ობიექტები.

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ მეცნიერების განვითარებაში, კიდევ უფრო აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება. წარმატებით წყდებოდა სოციალური ამოცანებიც.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის თბილისი ოთხჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საანგარიშო პერიოდის შედეგები, ითქვა კონფერენციაზე, მოწმობს, რომ XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე უფრო სისტემური და მიზანდასახული გახდა პარტიული ხელმძღვანელობის გაღრმავებისა და სრულყოფის პროცესი.

ეს განსაკუთრებით რელიეფურად შეიმჩნევა ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობის მაგალითით. წინა კონფერენციის შემდეგ განვლილი ორი წლის მანძილზე ქალაქის მრეწველობამ გამოუშვა პროდუქციის წარმოების მთელი ხუთწლიანი მოცულობის დაახლოებით 45 პროცენტი და უზრუნველყო მისი მატების საშუალო წლიური ტემპი 8 პროცენტი, ნაცვლად ხუთწლედის პირველ სამ წელს მიღწეული 6,9 პროცენტისა.

ამ დროის მანძილზე ქალაქში გამოშვებულია 1,7-ჯერ მეტი ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქცია, ვიდრე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში.

წარმატებით მთავრდება მიმდინარე წელიც. 25 დეკემბერს თბილისის მრეწველობამ საამობლოს უპატაჟა წლიური საგეგმო დავალებების შესრულება ყველა ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

ქალაქის ინდუსტრიის მიერ ამ მაღალი მიჯნების მიღწევა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ყველა საწარმოს კოლექტივების, პარტიის რაიკომების დიდმა და ნაყოფიერმა მუშაობამ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქარხნო, 26 კომისრის სახელობის, გლდანის, კიროვის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის რაიონების, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, კონიაკის კომბინატისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების წვლილი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლიანი დავალებანი.

ამასთან ერთად, მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს მეთერი რიგი ფაქტორები, რომლებიც აბრკოლებენ ქალაქის საწარმოო პოტენციალის უფრო რაციონალურ გამოყენებას.

მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე თბილისის 26 საწარმომ, რომელთა შორის არის კამეოლაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, სსრ კავშირის 50 წლისთვის სახელობის, „საქღვინომანქანის“, ტრიკოტაჟის საცალების საწარმოო გაერთიანებანი, „საქსოფლმანქანის“, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობისა და სხვა ქარხნები, მოახდინა პროდუქციის წარმოების გეგმების კორექტირება და შეამცირა ისინი თითქმის 68 მილიონი მანეთით.

კონფერენციაზე ხაზი გაესვა, რომ ქალაქის მრეწველობისათვის, რომელშიც მოცემულ ეტაპზე მასალატევადი დარგები ჭარბობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის, ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი გამოყენების, პროდუქციის წარმოებისათვის მათი ხარჯვის შემცირების საკითხს. ამის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ მიზანდასახული გულმოდგინე მუშაობით ყოველ სამუშაო ადგილზე, ყოველ ბრიგადაში, ყოველ საამქროში.

კონფერენციაზე წამოაყენეს წინადადება გამოაცხადონ მეთერთმეტე ხუთწლედში სოციალისტური შეჯიბრება ნედლეულის, მასალების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობისა და ყაირათიანი გამოყენებისათვის.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ბოლო ხანს თბილისში საგრძნობი წარმატებებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში. საწარმოთა თითქმის ნახევარში დაინერგა მისი მართვის კომპლექსური სისტემა. ამავე დროს, რიგ შემთხვევებში საწარმოებში სისტემა დაინერგა, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონაც საკმაოდ დიდია, მაგრამ ამასთან ერთად უშვებენ წუნდებულ პროდუქციას, იღებენ რეკლამაციებს, იხდიან ჯარიმებს. მაშასადამე, სისტემა მთლად გამართულად ვერ მუშაობს.

არადა, კომპლექსურობისა და სისტემურობის ფასი სწორედ ის არის, რომ სისტემის ყოველი რგოლი მუშაობდეს შეუფერხებლად, ყველა რგოლი კი ერთად, საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფდეს გათვალისწინებულ, განპირობებულ შედეგს. მიუხედავად ამისა, შეფერხებები ხდება ხოლმე ამ საქმეში ისეთ წამყვან საწარმოებშიც, როგორიც არის „საქელექტრომანქანის“, „ელვის“ საწარმოო გაერთიანებანი, № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვები.

კომპლექსური სისტემა დაინერგა საწარმოო გაერთიანება „თბილისპურნაში“, მაგრამ მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში ძირეულ ძვრებზე ლაპარაკი ზედმეტია.

ქალაქის ეკონომიკის დინამიკური, შეწონასწორებული განვითარება სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული საქმის ვითარებაზე კაპიტალურ მშენებლობაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მთელი სახალხო მეურნეობის შედგომი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ამ თვალსაზრისით კონფერენციაზე აღინიშნა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 3 № 13 და № 14 ტრესტების, „საქჰიდროენერგომშენის“, „ალაგასელექტროქსელმშენის“, „ინერმშენის“, „თბილგვრაბმშენის“ სამმართველოს, თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემის მთელი რიგი სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების, კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს, „ინტურისტ-სპეცრემმშენისა“ და სხვათა წარმატებები. მოსაწონია მთელი რიგი სამუშაოები, რომლებიც შეასრულეს „თბილისქალაქპროექტმა“, ქალაქმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა, კავკასიის ტრანსმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა და ქალაქის სხვა საპროექტო ინსტიტუტებმა.

რა თქმა უნდა, მიღწევები არის, ითქვა კონფერენციაზე, მაგრამ შარმან თუმცა შესაბამისად 102 და 104 პროცენტით შესრულდა საიჯარო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები, ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა შესრულდა მხოლოდ 96 პროცენტით, მიმდინარე წლის 11 თვის შედეგების მიხედვით კი ამ მაჩვენებელთა შორის წარმოქმნილი გაჩხავება უფრო გაიზარდა და ვითარება ჯერ კიდევ დაძაბულია.

წლეულს 146 საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციიდან 22, ანუ 15 პროცენტი, თავს ვერ ართმევს საგეგმო დავალებათა შესრულებას.

წლის განმავლობაში მშენებელთა მუშაობის არარიტმულობას, რასაც თან ახლავს მეოთხე კვარტალში დაბალი ხარისხისა და ხარვეზების წარმომშობი იერიშობანა და ავარალები, ზოგიერთი ამხანაგი, მათ შორის ხელმძღვანელი ამხანაგებიც, ლამის ბარდაუვალ ბოროტებად აღიქვამენ. არადა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამშენებლო კონვეიერის ყველა რგოლის ზუსტი, შეთანხმებული მოქმედება მთლიანად თუ არ გამორიცხავს, ყოველ შემთხვევაში არსებითად ამცირებს გაუმართლებელ დაძაბულობას, რომელიც ჩვეულებრივ წლის ბოლოს იქმნება.

საქმე ის გახლავთ, რომ ადგანან რა ასამოქმედებელ ობიექტებზე მატერიალური და შრომითი რესურსების კონცენტრაციის გაძლიერების სრულიად სწორ კურსს, მშენებელი ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ გარდამავალ ობიექტებს.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქმეთ გამოაჩინა

დევიზი: დავალება — დიდი — გადაჭარბებით

ნარმატებით ამთავრებს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმებს „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის „მიკროძრავას“ კოლექტივი. განვლილ პერიოდში 10.330 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 264.600 მანეთით მეტი სხვადასხვა მიკროძრავა.

ქარხანაში ბევრი მოწინავე მუშა შრომობს, რომლებმაც მიმდინარე სამეურნეო წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მთელი კოლექტივის მიერ სასახელო მაჩვენებლების მოპოვებაში.

სურათზე: საამწყობო საამქროს მოწინავე ელექტროშემკერავი მ. აბაშიძე (მარცხნივ), რომელიც დღეში 45-ის ნაცვლად 120 ოპერაციას ასრულებს. მარჯვნივ მისი მოწაფე — ელექტროშემკერავი მ. კელეხაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

ნობათი სამშობლოს

დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი დედაქალაქის მრეწველობის წარმატებებში თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. ხუთწლედის დავალება მან მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისში შეასრულა. შემკვეთი გეგმით გათვალისწინებულზე 8.700 ათასი მანეთით მეტ პროდუქციას მიიღებს. აქ დამზადებული მთელი ნაწარმის 20 პროცენტზე მეტმა ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. მოსწონს მომხმარებელს ელექტრიკოსთა ნახელავი: მარეგულირებელი მექანიზმები, ელექტროავტომატები, სასიგნალო არმატურა, პლასტმასის დეტალები, ფართო მოხმარების საქონელი.

ელექტრიკოსები მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ქმნიან მომავალი წლისა და საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნების დასაძლევად.

● ●

დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა შორის წარმოების მაღალი კულტურით და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევა პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე ხუთწლედი პირველ ოქტომბერს შეასრულა და ზეგეგმით 14 მილიონ 900 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ფაბრიკაში ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვამ შრომის ნაყოფიერება 7-8 პროცენტით გაზარდა. დანერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რამაც ფაბრიკის კოლექტივს საშუალება მისცა წლეულს მთელი პროდუქციის 50 პროცენტი საპატიო ხუთკუთხედით გამოეშვა.

● ●

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის დედაქალაქის სატრანსპორტო საწარმოო კოლექტივებს შორის დიდი წვლილი შეაქვთ № 2651 ავტოკოლონის მძღოლებს (უფროსი — ნ. წერეთელი, პარტბიუროს მდივანი — გ. ლაბაძე). ისინი ქალაქის 26 მარშრუტს ემსახურებიან და მგზავრთა მაღლიერებას სამართლიანად იმსახურებენ.

ავტორანსპორტელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, რომ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს უპატაჟეს საამობლოს ხუთწლიანი დავალების შესრულება.

დღეისათვის გეგმის გადამეტებით გადაყვანილია 6 მილიონი მგზავრი, შესრულებულია 32 მილიონი მგზავრ-კილომეტრი, ამასთან დაზოგილია ასობით ტონა საწვავი.

შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან მოწინავე მძღოლები ი. რამიშვილი, დ. ხავრიზაშვილი, ს. არუთინოვი, ა. იმედაშვილი და სხვები.

მეათე ხუთწლედის ბოლო კვირა

დამატებით, წლის დამლევამდე...

ასოციაციებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს, მოსკოვის მშრომელებმა შეასრულეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის სახელმწიფო გეგმა.

მრეწველობაში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა შესრულდა 26 დეკემბერს. წლის დამლევამდე დავალების დამატებით გამოუშვებენ ასმილიონობით მანეთის პროდუქციას. (საკდესი).

დედაქალაქის პარტორგანიზაციის საბრძოლო მიჯნები

თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია

დედაქალაქის პარტორგანიზაციის საბრძოლო მიჯნები

(გაგრძელება)

ბოლო წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, ითქვა კონფერენციაზე, თბილისის საქალაქო კომასკომმა, მთავარმა არქიტექტურულ-საგეგმარებელმა სამმართველომ და „თბილისქალაქპროექტის“ ინსტიტუტმა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან ერთად უფრო გულმოდგინედ და აქტიურად უნდა მოჰკიდონ ხელი არქიტექტურულ — ქალაქმშენებლობითის პრობლემებს, რათა ქალაქ თბილისს შეუნარჩუნონ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული იერსახე და კიდევ უფრო დაამშვენონ იგი საცხოვრებელ და სახოგადოებრივ ნაგებობათა თანამედროვე ინსამბლებით.

შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობისა და დროის მოთხოვნის გათვალისწინებით საჭიროა სერიოზულად გადაისინჯოს პოზიცია და განსაკუთრებით ქალაქის ცალკეული ნაწილების მასობრივი განაშენიანების პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს შეიმჩნევა გარკვეული ძვრები, საცხოვრებელი უბნების დაგეგმვისა და აშენების ხარისხი ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ცუდად ეწევა კოორდინაცია მშენებლების, შემკვეთების, დამპროექტებლებისა და არქიტექტორების მუშაობას, პრაქტიკულად არ არსებობს საავტორო ზედამხედველობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში ახალი საცხოვრებელი რაიონების მასობრივ განაშენიანებასთან ერთად განხორციელდება სამუშაოები დიდი სახოგადოებრივ-საცხოვრებელი და კულტურულ-სავაჭრო კომპლექსების შესამენელად ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ახლა ძველ, ავარიულ და კეთილმოუწყობელ სახლებს უკავია. ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში ეს საეტაპო მოვლენაა, ხაზი გაესვა კონფერენციაზე, და ამ სამუშაოთა განხორციელებას უარრესად დიდი პასუხისმგებლობით უნდა შევუდგეთ.

ამის საჭიროება იმითაც არის ნაკარნახევი. რომ კიდევ უფრო ინტენსიურად, მაგრამ მეტი ყურადღებით გაგრძელდეს მუშაობა თბილისის იმ ძველი უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციისათვის, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი არქიტექტურულ-მხატვრული კოლორიტის შენარჩუნება-აღდგენისათვის.

დიდი ამოცანები დგას ქალაქის მრეწველობისა და მშენებლობის წინაშე ახლ, მეთერთმეტე ხუთწლედში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა შესაბამისად 30-31 პროცენტით გაიზრდება სამრეწველო წარმოების მოცულობა, ერთობ საგრძნობი პროგრესული ძვრები მოხდება მის დარგობრივ სტრუქტურაში.

გათვალისწინებულია „ელმავალმშენებლისა“ და სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანებების, „ელვის“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების, ფოლად-თუჯსამსხმელო, ელექტროვაგონშემკეთებელი, „საქსოფლმაჩანისა“ და სხვა ქარხნების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების დამთავრება. კიდევ უფრო განვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა.

დასახული ღონისძიებანი მოითხოვს ახალ, უფრო მასშტაბურ, ყოველმხრივ და კომპლექსურ მიდგომას როგორც საწარმოო, ისე სოციალური მნიშვნელობის ბევრი პრობლემისადმი, რასაც გარკვეული გამოცდილება და ჩვენგა სჭირდება.

გლდანის, ღიღმისა და ნაწილობრივ ვარკეთილის მასივებში, არსებითად, იქმნება დიდი, თვისებრივად სრულიად ახალი სამრეწველო-საცხოვრებელი კომპლექსები.

ყოველივე ეს უკვე დღეს ახლებურად აყენებს დღის წესრიგში ისეთ საკითხებს, როგორიც არის შესაბამისი „სამშენებლო ბაზის შექმნა, სპეციალისტების, სამეცნიერო და მუშათა კადრების მომზადება, მოითხოვს სოციალური საკითხების — ბინის, მომსახურების მთელი სფეროს, კულტურის, განათლების, გარემოს, ადაპტაციისა და სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ქალაქის ეკონომიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩამორჩენილი კოლექტივების გარეშე მუშაობისათვის მოძრაობის შემდგომი გაღრმავება-გაფართოება. მიმდინარე ხუთწლედში, კონკრეტულად — 1977 წლიდან მოყოლებული, ქალაქი პრაქტიკულად ჩამორჩენილი საწარმოების გარეშე მუშაობს.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საწარმო-ორგანიზაციათა ყველა ხელმძღვანელი რიდი პოულობს წარმოქმნილ სიძნელეთა გადაწყვეტის სწორ გზებს კოლექტივების მყარი, სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ზოგიერთი მთგანი, მოჩვენებითს კეთილდღეობას გამოღებული, მოწონივეთა შორის ყოფნის სურვილით, კვლავ მოქმედებს მანკიერი პრინციპით — „შეგვსრულოთ გეგმა რადაც უნდა დაგვიჯდეს“, უფრო მეტიც, მათ შორის ისეთებიც არიან, რომლებიც სულმოკლეობას იჩენენ და მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის პასუხისმგებლობის შიშით ადგებიან ამკარა გაყალბების გზას, ურიგდებიან საანგარიშო მონაცემების დამახინჯებასა და წამატებებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში, ხაზგასმით აღინიშნა კონფერენციაზე, ფართო ფრონტით უნდა გავაჩაღოთ სამუშაოები დევიზით „უზრუნველყოთ უსამონრენოდ მუშაობა რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების მთელი კომპლექსის მიხედვით“. ეს მთავარი უნდა გახდეს ჩვენს მუშაობაში.

ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ministrთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

კონფერენციაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სატრანსპორტო ორგანიზაციათა საქმიანობას, აღინიშნა, რომ აქ დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მეურნეობრიობის არსებითს ნაკლოვანებებთან ერთად შესუსტდა სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

მომავალ ხუთწლეულში გადასაწყვეტ უპირველეს სახალხო-სამეურნეო ამოცანებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროცესების დაჩქარგა და ამის შედეგად ხელის შრომის წილის შემცირება. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. დიდია ხელს და მძიმე ფიზიკური შრომის ხვედრითი წილი ქალაქის ცალკეულ საწარმოებში.

სწორედ ამიტომ, კონფერენციამ ამოცანად დასახა გადავაქციოთ მეთერთმეტე ხუთწლედი გადამწყვეტ ხუთწლეულად ხელისა და მძიმე ფიზიკური შრომის მკვეთრი შემცირების საქმეში.

კონფერენციამ გააანალიზა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობა და წინადადება წამოაყენა გამოვაცხადოთ მეთერთმეტე ხუთწლედი ქალაქში მეცნიერების შემდგომი აყვავებისა და აღმავლობის ხუთწლედად, მეცნიერთა კადრების მომზადების ყოველმხრივი გაუმჯობესების ხუთწლედად.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, მისი პოლიტიკის უმაღლესი მიზანია ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მათი ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა, აღინიშნა კონფერენციაზე. ამ კურსის მკაფიო გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა პლენუმზე, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტი.

ამ დარგში საანგარიშო პერიოდის მანძილზე ქალაქში ბევრი რამ არის მიღწეული. საშუალო ხელფასი გაიზარდა 8,4 პროცენტით, დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან — 9,2 პროცენტით. ორ წელიწადში აშენდა დაახლოებით მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართები, 13 ათასამდე ოჯახმა გაიუმჯობესა სანინაო პირობები, მათ შორის 1500 ოჯახმა, რომლებიც აქამდე ბარაკებსა და სარდაფებში ცხოვრობდნენ.

კონფერენციაზე სერიოზულად გაანალიზეს ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობა და ხაზგასმით აღინიშნეს, რომ ეს საქმე ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს.

ბუნების დაცვის ღონისძიებებს შორის, ითქვა კონფერენციაზე, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამწვანებას. ქალაქის მშრომელებში, მთელ მოსახლეობაში უფართოესი გამოხმაურება პოვა XXXVII პარტკონფერენციის მოწოდებამ „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარ ქალაქად!“. მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. გაშენდა ახალი პარკები, სკვერები, დაირგა ათასობით ხე და ბუჩქი. კონფერენციისწინა დღეებში მისმა ყველა დელეგატმა დარგო ხეები XXXVIII კონფერენციის სახელობის ხეივანში. დღე აყვავდეს და გაიფურჩქნოს ახალი ნერგები; მშვიდობიანი შრომის, სიყვარულისა და ჯანმრთელობის, ბედნიერი კომუნისტური მერმისის ნერგები!

კონფერენციის დელეგატებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზებისა და დაწესებულებების საქმიანობის საკითხებს, და აღინიშნეს, რომ წინა კონფერენციის შემდეგ თბილისში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, მეტი ყურადღება ეთმობა მედიცინის მუშაკთა საჭიროებათა და მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი საამისოდ, რომ დავძლიოთ არსებული ჩამორჩენილი ადგილები და გადავჭრათ არსებული პრობლემები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის, მასობრივი ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. კონფერენციამ ყველა თბილისელს მოუწოდა ჩაებან მასობრივი სპორტისათვის ლაშქრობაში, ძალის, მტკიცე ნებისყოფის, ჯანმრთელობის, ადამიანის მშვენიერებისათვის ლაშქრობაში,

ადამიანისათვის ზრუნვას უშუალო კავშირი აქვს ჩვენი ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის — პროფკავშირების საქმიანობასთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ პარტიის სოციალური პროგრამის ყველა მუხლის განხორციელებაში, წარმართავენ მეცადინეობას მოსახლეობის შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, სამედიცინო მომსახურების პირობების გასაუმჯობესებლად, გარემო ბუნების დასაცავად.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარეს ადამიანებისა და ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ, ეროვნულ-ეთნიკურ, ეროვნულ-ენობრივ, ეროვნული განცალკევებისა და შეუფუძულობის გამოვლინებათა მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით. ხალხთა ლენინური მეგობრობა თვალსაჩინოდ იმარჯვების და ვლინდება ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამ ასპექტით უნდა განვიხილოთ სახალხო დღესასწაული „თბილისობა“, რომელიც ხალხთა ურღვევი ერთიანობის, ძმობისა და მეგობრობის ნამდვილ დემონსტრაციად გადაიქცა.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის დღესასწაულობა. ამ დიდი დღესასწაულისათვის თბილისში დამთავრდება ისეთ ნაგებობათა მშენებლობა, როგორიც არის რეკონსტრუქციისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა მემორიალი კომუნარების ბაღში, დიდების მემორიალი გამარჯვების პარკში, 26 ბაქოელი კომისრის ხსოვნის სკულპტურული კომპოზიცია „მეგობრობა“.

ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ისტორიული ბედი უფროს ძმას — დიდ რუს ხალხს. გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერით, რომლის 200 წლის თავისთვის თბილისელები დიდი აღმავლობით ემზადებიან რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად.

პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობაში, თქვეს დელეგატებმა, ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ამერიკაკაესის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების პარტიულ ორგანიზაციებთან, აქტიურად ვიყენებთ დოსაფის დავდაცვითი საზოგადოების საშუალებებს. ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო მეტად გავაღრმავოთ ეს ცოცხალი და საბრძოლო თანამშრომლობა, კიდევ უფრო უკეთ გამოვიყენოთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში სამსახურის შესაძლებლობანი, სადაც ახალგაზრდობა ვაჟკაცობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შესანიშნავ სკოლას გადის, სადაც ჰაბუკები ნამდვილი საბჭოთა ადამიანები, აქტიური მოქმედების ადამიანები დგებიან.

პიროვნების სოციალური აქტიურობა — ეს ხომ გამოხატულებაა მისი მოქალაქეობრივი მოწიფულობისა, საზოგადოების წინაშე მოსახდელი ვალისადმი, პარტიის იდეალების პრაქტიკულ განხორციელებაში მონაწილეობისადმი შეგნებული დამოკიდებულებისა.

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეძლო ბევრი რამ დაეძლია სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უცხო ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დარგში მოპოვებული წარმატებანი აშკარაა. ასევე აშკარაა ადამიანთა ის მტკიცე რწმენაც, რომ საჭიროა გაგრძელდეს ბრძოლა ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, აშკარაა მათი შეურიგებლობა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისა და დარღვევებისადმი. პრაქტიკა გვარწმუნებს, ხაზი გაუსვეს კონფერენციაზე, რომ გადმონაშთები და ნეგატიური მოვლენები ყველაზე მეტად არის გამჯდარი იქ, სადაც უყურადღებოდ ტოვებენ კეთილსაკეთურული მორალის და მომხვეჭელობის ფსიქოლოგიის კონკრეტულ გამოვლინებებს.

გადასაჭრელი პრობლემები, გადასაწყვეტი საკითხები, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ამაღლდეს მშრომელთა პოლიტიკური კულტურა შემეცნებითი და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობის საფუძველზე, როცა თეორიული ცოდნა მრწამსად და საქმედ გადაიქცევა და, რაც განსაკუთრებით საჭიროა, საადგილმამო-პროპაგანდისტულ მუშაობაში უნდა მივაღწიოთ მისი ბრძოლისუნარიანობისა და შეტევითი სულისკვეთების გაძლიერებას, ვაწარმოოთ დამსწრები კონტრპროპაგანდა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა უნდა განაზორციელოს ღონისძიებანი, რათა იდეოლოგიურ მუშაობაში უფრო ფართოდ ჩაებას თვალსაჩინო მეცნიერები, გამოცდილი პარტიული მუშაკები, სპეციალისტები, და თავიანთი მუშაობით ხელი შეუწყონ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას.

მეშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მხატვრული შემოქმედება. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რომლებიც იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანზე იმყოფებიან, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საზოგადოების ცხოვრებაში, ახალი ადამიანის, კომუნიზმის აქტიური მშენებლის აღზრდაში.

დღეს საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება განვითარების აღმავლობის გზაზეა, ისინი სახავენ ახალ ჰორიზონტებს, ავლენენ სინამდვილის ფენებს. ამის დასტურია უკანასკნელ ხანს შექმნილი შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც მომძე ხალხებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე თარგმნა, ამას მოწმობს თეატრალური და მუსიკალური კოლექტივების ტრიუმფული გასტროლები, აგრეთვე მხატვართა ფართო მონაწილეობა სახვითი ხელოვნების გამოფენებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ამას ცხადყოფს მათი შემოქმედების დიდი, საყოველთაო-სახალხო აღიარება.

ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც სინამდვილის მხატვრული შემეცნების საშუალებანი, ერთი მხრივ, განასახიერებენ და ასახავენ ყველა იმ სასიკეთო პროცესსა და დადებითს ძვრებს, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა. და, მეორე მხრივ, ახდენენ ესთეტიკურ, მსოფლმხედველურ ზემოქმედებას ადამიანებზე პოზიტიური ცვლილებების შესაბამისად, რის მეოხებითაც უშუალოდ მონაწილეობენ ჩვენი დღევანდელი ყოფიერების ყველა საზოგადოებრივ პროცესში.

სწორედ ამ დიალექტიკურ ერთიანობაშია ჩაქსოვილი ხელოვნების ის დიადი აღმზრდელი ძალა, რომელიც მხატვრული შემოქმედების საფუძველს შეადგენს.

ამასთანავე, ხაზი გაუსვეს კონფერენციის მონაწილეებმა, იმისათვის, რომ არ გვქონდეს ჩაგარდნები მხატვრულ შემოქმედებაში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ მკითხველისა და მაყურებლის ესთეტიკური გემოვნების დონე, რომ დროზე ავაცილოთ შეცდომები ახალგაზრდებს და წარგმართოთ მათი შემოქმედება სწორი კალაპოტით, უნდა ავამაღლოთ მხატვრული კრიტიკის როლი და ქმედითობა, რომელიც ყოველთვის ვერ არის პრინციპული.

მეტი მზრუნველობა და ყურადღება, დახმარება გვმართებს შემოქმედი მუშაკებისადმი, ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი მხატვრულ შემოქმედებაში ყველაფერს, რაც ნამდვილად ნიჭიერია, შეესაბამება ხალხის სულიერ მოთხოვნებს, ჩვენი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ინტერესებს.

უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციის, მათთვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო და რესპუბლიკური პრესა, რესაუბლიკის რადიო და ტელევიზია.

XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გაკრიტიკეს გაზეთების „თბილისისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციები. ამ კრიტიკიდან გამოტანილია შესაბამისი დასკვნები, ცვლილებები მოხდა მასალების მომზადებისა და პუბლიკაციის პრაქტიკაში, რომლებიც დღეს უფრო მეტად შეესაბამება თანამედროვე პარტიული ჟურნალისტიკის გაზრდილ მოთხოვნებს.

მაგრამ, თქვეს კონფერენციაზე, გაზეთების „თბილისისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციებმა უნდა გააძლიერონ ცალკეულ საკითხებზე თავიანთი გამოსვლების სიმწვავე, გამოიჩინონ მეტი პრინციპულობა მოვლენებისა და ამბების გაშუქებისადმი მიდგომაში, აამაღლონ პრესის მაორგანიზებელი როლი. გაზეთები ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქებისას არ უნდა ჩერდებოდნენ შუაგზაზე, მუდამ ბოლომდე უნდა მიჰყავდეთ საქმე. შემდგომ სრულყოფას მოითხოვს პრესის მუშაკთა პრაქტიკული საქმიანობა პროფესიული ოსტატობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კონფერენციის მონაწილეებმა ყოველმხრივ გააანალიზეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობა, ამხილეს არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრეს მათი აღმოფხვრის ამოცანები.

კონფერენციამ სერიოზული ყურადღება დაუთმო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. აღინიშნა, რომ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში მუდამ უნდა ვიხელმძღვანელოთ ახალგაზრდობის რეალური მოთხოვნებითა და ინტერესებით, მისი ცხოვრების მრავალფეროვნებით, ნიადაგ უზრუნველყოთ დიფერენცირებული მიდგომა ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფისადმი. საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ პარტიული ბირთვი კომკავშირში, უფრო თამამად დავაკისროთ კომკავშირელებს დამოუკიდებლად იმრომონ და გამოიჩინონ თავი შესაბამის უბნებზე, რათა ჩვენი ცვლა საქმით სწავლობდეს კომუნიზმს, იძენდეს ეკონომიკური და კულტურული შეზნებლობის პრობლემების გადაჭრის პოლიტიკურ გამოცდილებას.

მთელი მრავალფეროვანი ცხოვრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებისას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, რაიკომები და ქალაქის პირველადი ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ პარტიის წესდებით დამკვიდრებული პრინციპებით და პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის პრაქტიკულად შემოწმებული ფორმებითა და მეთოდებით.

ქალაქისა და საქალაქო პარტორგანიზაციის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს კოლექტიურად განიხილავდნენ პლენუმებზე, საქალაქო კომიტეტის ბიროს სხდომებზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, რაიკომები, აღინიშნა კონფერენციაზე, ისწრაფვიან ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურონ პოლიტიკურად მოწიფული, აქტიური და საქმის მცოდნე სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება. ასეთი ადამიანები ქალაქში მრავლად არიან. საჭიროა ითქვას, რომ ამჟამად თბილისის სახალხო მეურნეობაში შრომობს 157 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი, რაც ყველა მუშაკის 31,5 პროცენტს შეადგენს.

ამასთანავე, ამ საქმეში ნაკლოვანებებიც არის. პარტიული კომიტეტები ყოველთვის გულდასმით როდი უდგებიან საკადრო საკითხების გადაწყვეტას, კადრების გადანაცვლება-დანიშვნას.

მუშაობის საქმიანი, ნამდვილად ლენინური სტილისათვის ბრძოლაში ჩვენ ახალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ ჩვენი სპეციფიკური, პარტიული მუშაობის კულტურა, ბოლო მოვიღოთ ზოგჯერ გაუმართლებელ ძვირფასი სამუშაო დროის ხარჯვას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე რომ ვლაპარაკობთ, აღინიშნეს კონფერენციის დელეგატებმა, ამ ცნებას არ ვაშორებთ ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობას. მათი მონოლითური შეკავშირებაა ჩვენი ძალა. ამ ერთიანობამ გაიძლო დროის გამოცდას, იგი ნიადაგ მტკიცდება და ღრმავდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია განვლილი ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვა, მთელი ჩვენი დღევანდელი აღმშენებლობითი სინამდვილე.

გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქაში ჩვენში საფუძველი არა აქვს პრინციპული ხასიათის შინაპარტიულ უთანხმოებებს, ყოველგვარი გადახრების, მიმდინარეობების, ფრაქციების წარმოქმნას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ არა გვაქვს სირთულენი ან სიძნელენი, რომლებიც, სამწუხაროდ, ზოგჯერ არასამართლისად მომზადებულ და პოლიტიკურად უმწიფარ ადამიანებს მცდარად აფასებინებენ ვითარებას.

მთელი რიგი სუბიექტური მიზეზების გამო ჩვენ თავისუფალი არ ვიყავით იმისაგან, რომ პარტიის ცალკეული წევრები ზოგჯერ უშვებდნენ შეცდომებს, პარტიის საწესდებო მოთხოვნებიდან გადახრებს, მერყეობდნენ, ებღაუჭებოდნენ მოძველებულ ფორმებსა და მეთოდებს.

პარტიის რაიკომებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა პარტიულ მუშაობაში ყოველნაირად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, უზრუნველყონ თითოეული კომუნისტის მიერ საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობის ატმოსფერო, უარყოფილი მოვლენებთან და ნაკლოვანებებთან უკომპრომისო ბრძოლის ვითარება, რაც შეხამებული უნდა იყოს დიდ ნდობასა და მხარდაჭერასთან, შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების შემდგომ გაღრმავებასთან.

წინა, XXXVII საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ წამოაყენა ლოზუნგი — გავაქტიუროთ საანგარიშო პერიოდში შესრულების ორგანიზაციისა და შემოწმებისათვის მუშაობა.

კონფერენციის ამ მოთხოვნის განსახორციელებლად პარტიის საქალაქო კომიტეტმა სპეციალურად მიუძღვნა მას პლენუმი, რომელზეც დაამტკიცა ამ დარგში მუშაობის სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებანი.

ამ თვალსაზრისით შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ბევრ აქ დამსწრე ამხანაგს, აღნიშნა მომხსენებელმა, ახსოვს ცენტრალურ კომიტეტში გამართული სამუშაო თათბირი, რომელიც მიეძღვნა XXXVII საქალაქო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს, სამართლიანი კრიტიკა და მომთხოვნელობა, უცრადღება და ზრუნვა ჩვენი საქმეებისადმი. და დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ გულთამდად ვუზდით მადლობას რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, პირადად ამხანაგ ედუარდ ამბროსოს ძე შევარდნაძეს იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქის, თბილისის საქალაქო პარტორგანიზაციის ცხოვრება და საქმეები ნიადაგ დგას რესპუბლიკის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრად, ეროვნული და საბჭოთა ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში, მადლობას ვუზდით დიდი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რის წყალობითაც ჩვენი ქალაქი გულდაჯერებით მიაბიჯეს მოწონებაკენ რიგებში.

დღეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო — აღმოცენდა შესრულების გაზრდილი კულტურის ყლორტები.

გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხთა თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც ხორცს ასხამენ ლენინის იდეებს ფართო მასების მხრივ მუდმივი და ქმედითი კონტროლის შესახებ. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ და გავფართოოთ სახალხო კონტროლის როლისა და მნიშვნელობის ამაღლების პროცესი, გავააქტიუროთ მისი ორგანოები, სახალხო კონტროლიორთა მრავალრიცხოვანი არმიის მუშაობა.

ახალი კონსტიტუციის დებულებათა განხორციელების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

კონფერენციაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან:

ლ. ო. რაზმაძე, სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟიანი ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— ჩვენი საწარმო თითქმის ათი წელია არასტაბილურად, არარიტმულად მუშაობს. ყველა ხედავს ამას, ყველამ იცის ეს, მაგრამ არ ახორციელებენ არავითარ გადამწყვეტ ღონისძიებებს. არარიტმული მუშაობა ჩვენთან თითქოს დაკანონდა.

გაერთიანებაში მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობები ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს. საგარდერობები, სანიტარიული კვანძები, საკვებილაციო სისტემა, შეიძლება პირდაპირ ითქვას, არ მოქმედებს.

ბ. შ. თოდრდია, დიმიტროვის სახელობის ხაიანაცეთ ქარხნის დირექტორი:

—ჩვენ საქმით ვუპასუხებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მიზნად დავიისახეთ შეეიმუშაოთ საკუთარი სასურსათო პროგრამა. ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი პრობლემა, როგორიც არის კოლექტიური მებაღეობის განვითარება. ამიტომ ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ზონინობენ და მერყეობენ ამ საკითხში საკოორდინაციო საბჭო და მისი თავმჯდომარე ამხანაგი ზ. აბაზაძე, რომლებსაც ჯერაც არ გამოუყვიათ ჩვენი საწარმოსათვის მიწის ნაკვეთები კოლექტიური მებაღეობისათვის, მუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ათასამდე მსურველია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქარხნის დამხმარე მეურნეობის შემდგომი გაფართოების საკითხიც. მაგრამ აქაც სიძნელეებს ვაწყდებით, რაც დაკავშირებულია უმთავრესად იმასთან, რომ უზრუნველყოფილი არა ვართ საკვებით. როგორც ჩანს, იგივე პრობლემა აწუხებთ საკუთარი დამხმარე მეურნეობის მქონე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებსაც. ამიტომ იგი უნდა გადაიჭრას სახელმწიფო მასშტაბით.

ო. შ. ხიზანიშვილი, პარტიის თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი:

— ჩვენი რაიონის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე არის დამოკიდებული რესპუბლიკის დედაქალაქის პრესტიჟი. საქვეყნოდ არის ცნობილი საქმიანი ქალაღლი. სხვადასხვა დაწესებულებანი და უწყებანი, როგორიც არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამართლებრივ სამმართველო, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სამმართველო, გვიგზავნიან უამრავ წერილს, რომლებშიც გვიყენებენ მოთხოვნებს, ჭკუას გვასწავლიან, გვაძლევენ რეკომენდაციებს, ზოგჯერ ყოველდ უაზროს.

ნ. მ. პანკოვა, წინდის გაერთიანების მოტორისტი-მკერავი, საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— ჩვენთან დედაქალაქის კიროვის რაიონში უველფერი რიგზე როდია მშრომელთა ყოფაცხოვრებისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების შექმნის საქმეში. 50 ათას კაცზე არ მოდის არც ერთი კინოთეატრი, ცოტაა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

**ბ

დედაქალაქის პარტორგანიზაციის საბრძოლო მიჯნები

(დასასრული)

შენებლო მოედნებზე და ისიც დიდი შეფერხებით. ამასთან სადურგლო ნაწარმის ხარისხი ჯერჯერობით ძალიან დაბალ დონეზეა. სადურგლო ნაწარმის დროულად მომარაგებისა და ხარისხის პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაჭრან რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ და სახმომარაგებამ. იგი დაკავშირებულია არა მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს საბინაო მშენებლობის მზარდ მოცულობასთან, არამედ ხარისხისადმი მკეთრად გაზრდილ მოთხოვნებთანაც.

რ. ა. გოგლიძე, პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი:

— თავი იჩინა უხეშმა შეცდომებმა, რომლებიც დაშვებულია ელოში ახალი მიკრორაიონის მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოებში. ამჟამად აქ მწყობრში დგება 50 ათასი კვადრატული მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ არ არის არც მაღაზიები, არც საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სერიოზული სიძნელეებია წყალთან დაკავშირებით. ვთხოვთ პარტიის საქალაქო კომიტეტს სპეციალურად განიხილოს ლილოს განაშენიანების საკითხი.

ი. ი. ჯიშკარიანი, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პარტკომის მდივანი:

— რკინიგზისათვის მეტად მწვავედ დგას ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების პრობლემა. სპეციალისტ რკინიგზელთა საშუალო ასაკი ძალიან მაღალია: ზოგიერთი წამყვანი სპეციალობისათვის იგი 60 წელს აღწევს. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ამზადებს ჩვენთვის საჭირო სპეციალისტთა კადრების მხოლოდ 40-42 პროცენტს. ეს დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რომ თბილისში აღდგეს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

ე. ა. ნოხაძე, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პროფკომის თავმჯდომარე:

— ახლა, როცა სასურსათო პროგრამის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ყოველ დიდ საწარმოში იქმნება დამხმარე მეურნეობანი. გთხოვთ, რომ ბოლნისის რაიონში, სადაც ჩვენი გაერთიანების დასვენების ზონა და პიონერთა ბანაკია, გამოგვიყოთ მიწის ნაკვეთები. ეს ხელს შეუწყობს სურსათ-სანოვაგით მშრომელთა უკეთ უზრუნველყოფას.

გ. შ. კვანტალიანი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი:

— დადგა დრო გაძლიერდეს კანონი აზარტული თამაშის წინააღმდეგ, როგორც განზორციელდა ავტომობილების გატაცების, ძარცვისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ. საჭიროა აგრეთვე, რომ სამართლებრივ პროპაგანდაში მონაწილეობდნენ უფართოესი საზოგადოებრიობა, პარტიული ორგანიზაციები. საიდუმლოებას ხომ არ წარმოადგენს, რომ ამ საქმეს ფაქტობრივად ჯერჯერობით მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის ორგანოები მისდევენ.

თ. ე. აბულაძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი:

წინადადება შემომაქვს შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე დავაყენოთ საკითხი, რომ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტთან შეიქმნას სასცენარო, კინომცოდნეობის, კინოსაოპერატორო, ეკონომიკის ფაკულტეტები. ამ პროფესიათა სპეციალისტები დღეს ძალიან სჭირდება კინოსტუდია „ქართულ ფილმს“.

ჯ. ვ. ბერაძელიძე, საქართველოს ალკ.კ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— გარკვეულ შედეგებს იძლევა კომკავშირის რაიკომებთან და საქალაქო კომიტეტებთან არსებული კომკავშირული სწავლების სკოლები, თეორიული მეცადინეობა და სწავლების სხვა ფორმები, მაგრამ მათი ეფექტიანობა უფრო მაღალი იქნებოდა, ამ საქმეში ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები რომ მონაწილეობდნენ.

შ. ი. ბარგაბელიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი:

— პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველას როდი შეუძლია დასვენება ბუნების წიაღში ისე, რომ არ ავნოს მწვანე ნარგავებს, გარემოს. ბუნებისადმი ამგვარი დამოკიდებულების საწინააღმდეგო კარგ საშუალებად მიგვაჩნია დასვენების ცალკეული კუთხეების მიმაგრება ქალაქის დიდ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, მთლიანად მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში საჭიროა ძალიან მოქნილი, უნარიანი და, რაც მთავარია, გონივრული პროპაგანდა, მაგრამ მთელმა ჩვენმა პარტიულმა აქტივმა ქმედითი მხარდაჭერა თუ არ გაგვიწია, აქ ფონს ვერ გავალთ.

ა. ს. ფრანგიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:

— მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, რომელსაც დღეს იძენს სოციოლოგიის პრობლემათა დამუშავება, ჯერ კიდევ მოუგვარებელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სოციოლოგიური ცენტრის შექმნის საკითხი. ჩვენ ვთხოვთ რესპუბლიკის მეცნიერებსა და ტექნიკის კომიტეტს გადადგას საქმიანი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ნ. ი. ლაღიძე, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი:

— პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა უფრო ზუსტად უნდა განსაზღვრონ ღონისძიებანი სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, კადრების შერჩევისა და აღზრდა-განაწილებისათვის, აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების ერთიანი ქმედითი პროგრამა.

მ. ბ. უბრეხელიძე, 150-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი:

— ჩვენი ქალაქის ზოგიერთ რაიონს ჯერ კიდევ აკლია სკოლები და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი. მაგალითად ვაკეში, ბოლო 20 წლის მანძილზე არც ერთი საბავშვო ბაღი და სკოლა არ აშენებულა. როგორც გამოირკვა, მალე თავისუფლდება დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის შენობა, რომელიც ერთ დროს სკოლისათვის აიგო. მიზანშეწონილია დავაყენოთ ამ შენობის სახალხო განათლების სისტემისათვის გადაცემის საკითხი.

მ. ა. წულაძე, პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი:

— პარტიის საქალაქო კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მის მიერ შეძენილი დედებით გამოცდილების დანერგვას რაიკომებისა და პარტიული კომიტეტების მუშაობის პრაქტიკაში.

ჯ. ა. ჩარკვიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი:

— დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით ვადევნებთ თვალს თბილისის აყვავებას, მის გადაქცევას ბაღნარ ქალაქად, გამწვანების სამუშაოებს, რომელიც აქ წარმოებს. მაგრამ არის ზოგიერთი ხარვეზიც. მოსახლეობას ყოველთვის აქტიურად როდი ზიდავენ ამ დიდსა და კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობისათვის.

კონფერენციის რეზოლუციიდან:

კონფერენცია ქალაქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებს **უპირველეს ამოცანად უხახავს** უზრუნველყონ ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე მუშაობა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მთელი კომპლექსის მიხედვით. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი საწარმო იყოს დარგისა და ქვეყნის საუკეთესო საწარმოთა შორის.

კონფერენცია ავალებს პარტიის საქალაქო კომიტეტს, რაიკომებს პარტიის XXVI ყრილობისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესაბამისად უზრუნველყონ სამრეწველო წარმოების შემდგომი აღმავლობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის მიღწევათა საფუძველზე.

კონფერენცია მოითხოვს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, სამშენებლო საწარმოთა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ათვისებისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების გეგმების უფუო შესრულება, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ დროული გადაცემა, სამშენებლო ორგანიზაციათა ინდუსტრიული ბაზის, მშენებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

კონფერენცია ავალებს პარტიულ კომიტეტებსა და პარტორგანიზაციებს უფრო აქტიურად იმუშაონ ქალაქის შემდგომი გამწვანებისათვის. მოძრაობა — „გადავქაცოთ თბილისი ბაღნარ ქალაქად!“ — ყველა შრომითი კოლექტივის, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის, ქალაქის მთელი მოსახლეობის საზრუნავი უნდა გახდეს.

კონფერენცია მოითხოვს, რომ პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელებმა ძირეულად გარდაქმნან პროფილაქტიკური მუშაობა დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის, აამაღლონ საზოგადოებრიობის როლი სანიმუშო კულტურის, კომუნისტური შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქად თბილისის გადაქცევისათვის ბრძოლაში.

კონფერენცია პარტიის რაიონული კომიტეტების **უურადღებას მიაპყრობს** იმას, რომ ბევრი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია არასაკმარისად მონაწილეობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფაში და მოითხოვს, რომ სასწავლებლების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კომკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა იბრძოლონ ზოგადსაგანმანათლებლო, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მუდმივი ერთიანობისათვის, მჭიდროდ დაუკავშირონ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანებს და სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

კონფერენცია მოითხოვს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა იდეოლოგიურმა ინსტიტუტმა ყოველნაირად განავითარონ პროპაგანდისტული მუშაობის მებრძოლური, შემტევი ხასიათი.

კონფერენცია ავალებს პარტიის საქალაქო კომიტეტს, რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს განუხრელად ამკვიდრონ თავიანთ საქმიანობაში პარტიული ცხოვრებისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური ნორმები, ყოველნაირად აამაღლონ კომუნისტების აქტიურობა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზუსტად შეასრულონ საწესდებო მოთხოვნები.

თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია საბჭოთა **კავშირის კომუნისტური** პარტიის **ცენტრალურ კომიტეტს, პირადად სკკკ ცენტრალური** კომიტეტის **გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს** კომპარტიის **ცენტრალურ** კომიტეტს **აღუთქვამს, რომ ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის** კომუნისტები, **ყველა მშრომელი** კიდევ **უფრო ფართოდ გაშლიან ბრძოლას** სკკპ **XXVI ყრილობის, საქართველოს** კომპარტიის **XXVI ყრილობის** ღირსეული **შეხვედრისათვის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში.**

(საქინფორმი).

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

„ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ საქმიან პრეზიდიუმს“. — ასეთი წარწერით ასამდე ბარათი მიიღეს გორის რაიონული პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმ შ ი. პარტიის გორის რაიკომი ტრადიციისამებრ მომავალში შეიწვალის და სათანადო რეგორებას მოახდენს მათში გამოთქმულ თითოეულ შენიშვნასა თუ წინადადებაზე. მანამ კი კონფერენციის დარბაზში საანგარიშო პერიოდში მიღწეულ წარმატებებზე, ჯერ კიდევ დაუძლეველ სიძნელეებზე მსჯელობდნენ გორელი კომუნისტები.

კრიტიკულ და თვითკრიტიკულ საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის გორის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. აბრამიშვილმა, მოკამათეთა გამოსვლებში ფართოდ აისახა რაიონის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარი პოზიტიური ძვრები, ორმა შემობრუნება იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებზეც დამოკიდებულია მშრომელი ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ქართლის ამ რაიონის ეკონომიკაზე საუბარს, ჩვეულებრივ, მეხილეობაში არსებული მდგომარეობით იწყებენ ხოლმე. როგორ ამთავრებენ გორელი მეხილეები მეათე ხუთწლედს?

დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ რაიონმა კონფერენციის გახსნის დღისათვის წარმატებით შეასრულა ხილის დამზადების, როგორც მიმდინარე წლის, ასევე მთლიანად მეათე ხუთწლედის დავალებები. წელს სახელმწიფოს მიეყიდა 105 ათასი ტონა ხილი, სულ ხუთწლედის მანძილზე კი 423.250 ტონა, ანუ საგეგმიზე 52 ათასი ტონით მეტი.

გორის შემოსასვლელში კი, ავერნაქის ფერდობზე, ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინათ ასეთი ლოზუნგი მოგტაცებდათ თვალს: „სახელმწიფოს მივყიდით 80 ათას ტონა ხილს!“ და უცებ: 105 000!

რამ განაპირობა ასეთი მკვეთრი ნახტომი? — ვკითხე ცნობილ მეხილეს, ბერმუკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ა. ოლოიჯაშვილს, რომელსაც ისინი იჩენენ ხილის ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდების საქმეში, რაიონში ყოველწლიურად იზრდება იმ მეურნეობათა რიცხვი, სადაც საშუალოდ ჰექტარზე 80-100 ცენტნერ ხილს იღებენ, მაგრამ იქვე, მათს მეზობლად, ისეთი მეურნეობებიც არსებობენ, სადაც უგულებელყოფილია ბაღების მოვლის აგროტექნიკური ვადები, სამუშაოების დროულად ჩატარება. შედეგიც სავალალო აქვთ. მაგალითად, ფლავის კოლმეურნეობაში წელს საშუალოდ ჰექტარზე 44 ცენტნერი ხილი აწარმოეს, დიცის კოლმეურნეობაში — 32 ცენტნერი, ნიქოზის კოლმეურნეობაში — 13, ტარძნისის საბჭოთა მეურნეობაში — 20, შინდისის საბჭოთა მეურნეობაში — 8 ცენტნერი ხილი. მარტო ჩვენმა ბრიგადამ წლეულს იმაზე მეტი ხილი მოიყვანა, ვიდრე ისეთი დიდი ტრადიციების მქონე საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, როგორიც არის ტარძნისის, ქვემის, დიცის, ნიქოზის მეურნეობები. — ამის შესახებ კონფერენციის ტრიბუნიდან უნდა ვუთხრა ამ მეურნეობათა თავკაცებსო, — თქვა მოწინავე მეხილემ.

და უთხრა კიდეც! დარბაზში კი ისხდნენ ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები ნ. ჯობინიშვილი, ი. გიგუაშვილი, ნ. ეცადაშვილი, გ. რომელაშვილი, რ. ყანჩაველი, დ. მინდიაშვილი, ი. ლაზარაშვილი, დ. მაჭარაშვილი და მშვიდად უსმენდნენ მოწინავე ბრიგადირს!..

მიღწეულით დაუმაყოფილებლობის გრძნობით გაანალიზდა კონფერენციაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მოპოვებული წარმატებები, მომავლის პერსპექტივები, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებს.

სამეურნეო შედეგების გაანალიზებისას კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ იქ, სადაც ქმედითია პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობა, პარტიული, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ფორმები და მეთოდები, იქ, სადაც ადამიანის ყოველდღიური შრომის ობიექტური შეფასების ვითარება სუფევს, საქმეც წინ მიდის, სასიკეთო ძვრებიც არის. და პირიქით.

კერძოდ, საკმარისი გახდა პარტიის რაიონულ კომიტეტს, პირველად პარტორგანიზაციას ყურადღება მოედუნებინათ ქვაროგორც სამრეწველო რაიონი. აქ არის მსხვილი სამრეწველო საწარმოები — ამიერკავკასიაში უდიდესი პუტ-პროდუქტების საწარმოო კომბინატი, „საქსახკომსოფლტექნიკის“ გაერთიანება, შამპანური ღვინოების ქარხანა და სხვ.

რაიონის მრეწველობა წარმატებით ამთავრებს ხუთწლედს. განვლილ ორ წელიწადში სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა ხუთი სახეობის პროდუქციას, სასიკეთო ძვრებია რაიონის ეკონომიკის სხვა სფეროებშიც, კერძოდ, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც. მაგრამ ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის, ნეგატიური მოვლენებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მკაცრად გააკრიტიკეს ამ დარგების ხელმძღვანელები...

კონფერენციის მონაწილეები პრინციპულად, პარტიული პირუთვნელობით მსჯელობდნენ გაწეულ მუშაობაზე, საქმის გაუმჯობესების მიზნით აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქვაკავიდებულად ვერ ავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სოფლად რადიო-სატელეფონო სამსახურის მუშაობა, ვერა და ვერ მოხერხდა „საქსახკომსოფლტექნიკის“ გაერთიანებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახი ფართოულებისა და მარტივი ტიპის სახელოსნოების აშენება, არ დამთავრებულა მაღალი ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა პუტრროდუქტების საწარმოო კომბინატისათვის, სიძნელეებია სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

კომუნისტებმა მარტო კი არ წამოაყენეს ეს წინადადებები, არამედ ზუსტი მისამართებიც მისცეს კრიტიკას. აი, ისინიც: რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო, „საქსახკომსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანება, დამზადების სამინისტრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო...

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვარძელაშვილმა.

გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

საბჭომ განიხილა საკითხი მემორიალური კომპლექსების, მონუმენტების, პანთეონებისა და თბილისის სხვა ძეგლებისა, რომლებიც უკვდავყოფენ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობას. სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ქალაქის ოქტომბრის რაიონის პარტიული ორგანიზაციის, სამხედრო კომისარიატის, საზოგადოებრიობის ინიციატივა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ძმათა სასაფლაო. აქ დაკრძალულია 1.638 საბჭოთა მებრძოლი. გმირთა საფლავებზე არ ჭკნება ყვავილები. ძმათა სასაფლაო-მემორიალს მეთვალყურეობას უწევენ რაიონის საუკეთესო სკოლები.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა აღნიშნეს თბილისის 37-ე საშუალო სკოლის პედაგოგების, კომკავშირული ორგანიზაციის, მოსწავლეთა სასარგებლო ინიციატივა, რომელთაც შექმნეს მცირე-მიწელთა მემორიალი. ძვირფას რელიკვიებს შორის არის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ამ სკოლის კოლექტივის ინიციატივას.

ოქტომბრის ქუჩის № 39 სახლის მყუდრო ეზოში მოწყობილია ყვავილნარი სტენდით დიდი სამამულო ომის მონაწილეებისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია 26 კომსომოლის სახელობის ნიჩბის ტერიტორიაზე გაანაგებული პეტრე-პავლეს ძმათა სასაფლაო. ობელისკებსა და საფლავის ქვებზე ზოგიერთი წარწერა წაშლილა. მემორიალის მარჯვენა კედელი ჩამონგრეულია. წინათ მისი კეთილმოწყობისათვის დაწყებული სამუშაოები ბოლომდე არ არის მიყვანილი, სასაფლაოს არავინ შეფობს. საბჭოს წევრების აზრით, საჭიროა მეტი ყურადღება გამოიჩინონ კალინინის რაიონის ძველი ვერის სასაფლაოს მიმართ, სადაც დაკრძალული არიან ესპანელ კომუნისტთა წინამძღოლი ხოსე დიასი, გამოჩენილი საბჭოთა მეომრები. მართალია, წითელი პარტიზანების სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (ორჯონიკიძის რაიონი) ყოველწლიურად ათასობით თბილისელი და საქართველოს დედაქალაქის სტუმარი მოდის, აქ აწყობენ ტრადიციულ შეხვედრებს ომის ვეტერანები, მის კეთილმოსაწყობად კი დღემდე არაფერი გაკეთებულა. დიდი ხანია არსებობს გადაწყვეტილება პარკში თემატური მონუმენტის აგების თაობაზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ პარტიის რაიკომთან და რაიაღმასკომთან ერთად მეტი დაინტერესება — უნდა გამოიჩინოს მისი რეალიზაციისათვის.

დედაქალაქის ლენინის, პირველი მაისის, კალინინის, კიროვისა და სხვა რაიონებში, რომლებიც მდიდარია რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციებით, ვერსად შეხვდებით განვლილი ომის ამსახველ მემორიალურ კომპოზიციებს.

საბჭოს წევრებმა საკითხი ფართოდ დააყენეს: ეს ნაკლოვანებები, სამწუხაროდ, დამახასიათებელია რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონისათვისაც. იქ იქმნება მემორიალები, მაგრამ მათ სათანადოდ არ უვლიან.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე თ. მ. ჯაფარლი, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გ. ვ. მაქაცარია, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ს. ი. ოგიენკო, საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი რ. ტ. ნიორაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თ. გ. ბადურაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ლექტორი ლ. ნ. ლევინი და სხვები.

საბჭოს წევრებმა მიიღეს რეკომენდაციები ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქის 60 წლისთავის ზეიმის მომზადებასთან დაკავშირებით, დაამტკიცეს წინადადები, რომელთა მიზანია საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის გაუმჯობესება.

სხდომაში მონაწილეობდა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ქ. ა. შარტავა. (საქინფორმი).

27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲜᲐᲛᲔᲠᲘ

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲑᲐᲑᲠᲐᲫ ᲥᲐᲠᲛᲐᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲡᲝᲤᲘᲐ. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობა, ორი პარტიის, სახელმწიფოსა და ორი ქვეყნის ხალხთა ძმური ურთიერთობის მაგალითია, განაცხადა გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაკ კარმალმა. საბჭოთა კავშირმა ჩვენ ძმური დახმარება გაგვიწია, ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილი აგრესიის, იმ აქციის მოგერიებას, რომელიც იმპერიალისტურმა ქვეყნებმა მოაწყვეს.

რეაქცია და იმპერიალიზმი, აღნიშნა ბ. კარმალმა, განაგრძობენ გამოუცხადებელ ომს ავღანეთის წინააღმდეგ. ისინი ქვეყნის ტერიტორიაზე გზავნიან დაქირავებულ ტერორისტებსა და მკვლელებს, ამარაგებენ მათ სხვადასხვა იარაღის, კერძოდ ამერიკული წარმოების ქიმიური გრანატებით.

ჩვენი მტრები ცდილობენ დაანგრიონ ავღანეთის ეკონომიკის განვითარება, არ დაუშვან ვითარების ნორმალიზაცია ქვეყანაში, აგრეთვე დათესონ პანიკა და შიში მოსახლეობას შორის.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

● **ᲢᲝᲙᲘᲝ.** იაპონიაში იგრძნობა სამედიცინო პერსონალის მწვავე ნაკლებობა. ყოველ 100 ათას მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 137 ექიმი, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და ორჯერ მეტად ნაკლები, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲔᲑᲐ... ᲠᲔᲜᲣᲐᲠᲘ

● **ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ.** არგენტინის დედაქალაქის ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმში დიდი ქურდობა მოხდა. უცნობმა პირებმა მოიპარეს 16 სურათი და 9 ქანდაკება, მათ შორის არის რენუარის, ხეზანისა და დეგას ტილოები. როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ხელოვნების ეს დაკარგული ნაწარმოებები 25 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

● **ᲚᲐ-ᲞᲐᲖᲘ.** ბოლივიის სტატისტიკისა და აღწერის ეროვნული ინსტიტუტის ცნობით, ქვეყნის მოსახლეობამ 5 მილიონ 570 ათასს მიაღწია. ბოლივიელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 47 წელია.

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲔᲑᲔᲑᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ...

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ

(დასასრული)

ბრაზილიის დედაქალაქის ქვეყნის სიღრმეში გადატანის იდეა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამდეგს წამოაყენეს ბრაზილიელმა მოღვაწეებმა. უკვე 1891 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ახალი დედაქალაქის შენებლობა ცენტრალურ პლატოზე დაწყებულიყო. 1922 წლის 7 სექტემბერს — ბრაზილიის დამოუკიდებლობის მე-100 წლისთავზე, ცენტრალურ პლატოზე მომავალი დედაქალაქის საძირკვლის პირველი სიმბოლური ქვა დადეს, ახალი დედაქალაქის ოფიციალური გახსნის დღედ 1960 წლის 21 აპრილი გამოცხადდა. და მართლაც ათიათასობით მუშის წყალობით ამ დღეს გაიმართა ახალი დედაქალაქის გახსნის ოფიციალური ცერემონია.

ძველი დედაქალაქი რიო-დე-ჟანეირო იმავე სახელწოდების შტატის ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა.

რიო-დე-ჟანეიროში სსრ კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ჯგუფის წევრები მიგვიღო ბრაზილია-სსრ კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ.

ჩვენ წინ იდგა საშუალო სიმაღლის, გამხდარი, სადად ჩაცმული კაცი, ნაღვლიანი თვალებითა და მორცხვი ღიმილით, კაცი, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს არქიტექტორად ითვლება. ეს „გახლდათ ოსკარ ნიმეიერი. სწორედ მან დააპროექტა ქალაქი ბრაზილია. იგი ვერ ეგუება თავის დიდებას, თითქმის ლეგენდად ქცეულ სახელს. მასზე ბევრი წიგნი დაიწერა ამერიკის, საფრანგეთში, შვეიცარიასა და იაპონიაში, ამ წიგნებისა და წერილების ავტორები ცდილობენ მიაგნონ მისი შემოქმედების გასაღებს, მისი გენიის საიდუმლოს.

მაგრამ არავითარი საიდუმლო არ არსებობს. უბრალოდ ნიმეიერის უყვარს სიცოცხლე, ხალხი“. „მე მწამს, რომ ბრაზილია ბედნიერი ადამიანების ქალაქად იქცევა, ადამიანებისა, რომლებიც სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრებენ“, წერდა იგი თავისი შემოქმედების ნაყოფზე, ბრაზილიის მშვენიერ დედაქალაქზე. მან ააგო ასობით შესანიშნავი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, თეატრი, სტადიონი, მაგრამ მას კარგად ესმის, რომ ადამიანების ბედნიერებისათ

ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ Გ. ᲔᲜᲯᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ვ. ᲜᲐᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲝᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲗ

ᲡᲐᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲒᲒᲗᲝ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲒᲘ

ᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲘᲗ. ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲘᲗ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Გ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ს. ᲞᲝᲚᲝᲜᲝᲕᲘ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲝᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲚᲚ. ᲠᲐᲯᲘᲪᲐ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲞᲝᲚᲝᲜᲝᲕᲘ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲝᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ს. ᲙᲐᲠᲐᲯᲐᲜᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲝᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Ვ. ᲜᲐᲓᲘᲐᲜᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲔ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲚᲚ. ᲠᲐᲯᲘᲪᲐ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲞᲝᲚᲝᲜᲝᲕᲘ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲒᲝᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ

„ᲗᲣ მარტო მისი ლექსები წაიკითხეთ, თუნდაც ძალიან ბევრი, ნუ იტყვით, ჯანსუღ ჩარკვიანი გავიცანიო. თუ მოუსმინეთ მას, როცა ლექსებს კითხულობს, მაინც ნუ იტყვით, რომ ჯანსუღ ჩარკვიანს იცნობთ, კაცმა იგი განუყოფელ ნაწილად უნდა წარმოიდგინოს ქართულ მიწასთან, ქართულ აზრთან, ქართულ სულთან... იგი პოეტია სისხლითა და ცხოვრებით“, — მწერალ რევაზ ინანიშვილის ამ სიტყვებით დაიწყო ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიის საღამო საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში. დარბაზმა ვერ დაიტია ჟეშმარიტი პოეზიის მოყვარულები. სცენიდან ისმოდა მართალი პოეტური სიტყვა, დაწურული, ნალასი, ძარღვიანი...

პოეზიის საღამოზე ჯ. ჩარკვიანის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა თ. ხაინდრავამ, გ. ხარაბაძემ, თ. ჩანტლაძემ, თ. ბიჭიაშვილმა. პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს მ. ძიძიგურამ, ნ. აბესაძემ, ი. სოხაძემ (ანსამბლ „თბილისთან“ ერთად), ცნობილმა პოეტმა ი. ალოხინმა წაიკითხა ჯ. ჩარკვიანის ლექსების საკუთარი თარგმანი რუსულ ენაზე.

ჯ. ჩარკვიანს ერთ ლექსში ასეთი სტრიქონები აქვს: „თუ მეც ფიცი ერს და მრევლობას, როგორც გილხინდეს, ისე გიჭირდეს, მთავარი გახლავს აუმღვრევლობა, მთავარი გახლავს ზნეთა სიწმინდე“.

დიახ, აუმღვრევლობა და ზნეთა სიწმინდე! ფრთიანი ფრაზით, საკუთარი სათქმელით, ხალასი, ლაღი ინტონაციით წერს პოეტი ლექსებს. აუმღვრევლობა და სიწმინდე ახლდა თან ამ შესანიშნავ საღამოსაც.

ნ. ჯოხარიძე.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ

ᲐᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ტყიბულის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში შუაღამისას მძიმე ავადმყოფის მ-ძის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა — დაეცა პულსი, დაკარგა გონება, სახე გაულურჯდა.

საგანგებო მკურნალობის დაწყებამდე ავადმყოფის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო იყო პირველი დახმარება — ახალი სისხლის გადასხმა. შუაღამით ავადმყოფის ახლობლების ძებნას დიდი დრო სჭირდებოდა და ამიტომ დონორობა ექიმმა მ. დარსაველიძემ იკისრა.

უიმედო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი გამოკეთდა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ექიმი მ. დარსაველიძე ტყიბულის მკვიდრია. მან 1975 წელს დაამთავრა ნოვოსიბირსკის სამედიცინო ინსტიტუტი და 1978 წლიდან მშობლიური ქალაქის საავადმყოფოში მუშაობს, იგი შრომამოყვარე, დისციპლინიანი და დაკვირვებული ექიმია. მიმდინარე წელს ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მან ავადმყოფისათვის საკუთარი სისხლი გაიღო.

ნ. ჯინჯიხაძე.

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ— ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ტრადიციული ჯილდოები გადასცეს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და ხელოვნებათმცოდნეობის 1979 წლის საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებს.

ამჯერად, გამარჯვებულთა შორის არის ახალგაზრდა ქართველი მხატვარი თენგიზ ცხონდია, რომლის ფერწერული ტილო „შემოდგომა“, ვერცხლის მედლით დაჯილდოდა.

ახალგაზრდა მხატვარი თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგია და თან ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობასაც ეწევა. გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ტილოები ყოველთვის ფიქრობენ ინტერესს იწვევს ხოლმე. („კომუნისტის“ კორ.).

ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ— ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲢᲘᲜᲓᲘ



ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲒᲑᲐᲖᲔ. Ⅰ. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲖᲚᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ქალაქის ლაკვარდოვანი პანორამა დაამშვენა ტროლეიბუსმა, რომლის ხაზის პირველი რიგის ამუშავებამ ქალაქის ცენტრი დაუკავშირა მალთაყვის გარეუბანს. 14-კილომეტრიან ხაზზე ტროლეიბუსები ემსახურება ცენტრის, ნინოშვილისა და ბარათაშვილის უბნების მოსახლეობას, ამ ადგილებში განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს.

მშენებლობას აწარმოებდა რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტი „საქკომსპეცმშენი“.

ახალ ხუთწლედში დაიწყება ტროლეიბუსის ხაზის მეორე რიგის მშენებლობა, რომლის მარშრუტი წრიული იქნება.

ᲙᲐᲚᲐᲥᲘᲡ ცენტრში წულუკიძის ქუჩაზე ხორცისა და რძის კომბინატმა გახსნა ახალი საფირმო მაღაზია, რომელშიც მომხმარებელი იძენს საჭირო ნაწილისა და ღორის ხორცს, რძესა და რძის პროდუქტებს.

კ. კომახიძე.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ №12

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲚᲘ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ მე-12 ნომერი.

რუბრიკით — „სკკპ XXVI ყრილობის შესახებ დრამა“ ჟურნალი ბეჭდავს ელდარ შენგელაიას სტატიას „ახალი სიმაღლეებისაკენ“. აქვე ჟურნალი 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას ულოცავს ფილმის — „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დამდგმელ კოლექტივს, შემდეგ ვეცნობით ცნობილი ხელოვნებათმცოდნეების და მსახიობების გამონათქვამებს, რომლებიც რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლებს ეძღვნება.

„ბობოქარი დღეების გამოძახილი“ — ასეთი სათაური აქვს მ. გეგიას წერილს, რომელიც მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის ახალ დადგმებს მიმოიხილავს.

ჟურნალში გაეცნობით მანანა ახმეტელის წერილს, რომელიც ეძღვნება ვანო სარაჯიშვილს, გიორგ დოჩანაშვილის პიესას — „ხორუმი ქართული ცეკვაა“ და სხვა საინტერესო მასალებს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლაიფციგიდან დაბრუნდა თბილისელი დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, რომელმაც იქ გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. გთავაზობთ ე. გუფელდთან „კომუნისტის“ კორესპონდენტის ჯ. ენუქიძის საუბრის ჩანაწერს:

● გილოცავთ წარმატებას და გთხოვთ დაწვრილებით უამბოთ „კომუნისტის“ მკითხველებს ლაიფციგში გამართული ტურნირის შესახებ.

— ლაიფციგის ტურნირი საკმაოდ ცნობილი ასპარეზობა გახლავთ. აქ საქართველოს მოჭადრაკეთაგან მასში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღეს ნონა გაფრინდაშვილმა და თამაზ გიორგაძემ. ოცი წლის წინათ აქ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა მოეწყო და მასში ბობი ფიშერმაც იასპარეზა. წლევანდელ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან პირველობისათვის ვიბრძოდით მე, დიდოსტატი სუეტინი და რუსეთის ფეიდერაციის წლევანდელი ჩემპიონი პეტროუშინი. აქ ერთმანეთს მეტოქეობას ვუწევდით 6 დიდოსტატი, 6 საერთაშორისო ოსტატი და 2 ეროვნული ოსტატი. ამჟერად გერმანელებმა ლა-ვალეტის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში არ მიიღეს მონაწილეობა და, ცხადია, ტურნირში საუკეთესო ძალებით იპაექრეს. მათ შორის იყვნენ დიდოსტატი ულმანი, კნაკი, ფოჭტი, ესპიგი და სხვები. აქ ძალები სცადეს აგრეთვე კუბელმა, ჩეხოსლოვაკელმა, ბულგარელმა და პოლონელმა მოჭადრაკეებმაც. იმის დასტურად, თუ რა ძლიერი შემადგენლობისა იყო ეს შეჯიბრება, საკმარისია ითქვას, რომ იგი ფიდემ მეცხრე კატეგორიის სიძნელის ტურნირად შეაფასა. საილუსტრაციოდ შეგახსენებთ, რომ თბილისში მანამდე გამართული ვიქტორ გოგლიძის მემორიალი, რომელიც მე პირველობა მოვიპოვე, უფრო დაბალი, მერვე კატეგორიისა გახლდათ.

● მოჭადრაკეებმა რა თანამიმდევრობით გაინაწილეს ადგილები?

— პირველობა 9 ქულით მოიპოვა ესპიგმა. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამოვრჩი. III-VI ადგილები გაინაწილეს მასპინძლებმა ულმანმა, ფოჭტმა, კნაკმა და ბიოზშმა. მათ 8-8 ქულა დააგროვეს. უნდა ითქვას, რომ მასპინძლები შესამჩნევად გაძლიერდნენ და მოსალოდნელია, რომ ისინი ახლო მომავალში საერთაშორისო სარბიელზე სერიოზულ მეტოქეობას გაუწევენ სხვადასხვა ქვეყნის დიდოსტატებს. არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი დეტალი. ბულგარელმა მოჭადრაკემ კიროვმა, სამშობლოში გამგზავრების მიზეზით დანიშნულ ვადაზე ადრე ითამაშა ესპიგთან და დამარცხდა. სხვა ვითარებაში მათი პარტია შეიძლება სხვანაირად წარმართულიყო და ეს, ბუნებრივია, სპორტულ ადგილების განაწილებაში ერთ-ერთ ორეულ კორექტივს შეიტანდა. ამ მომენტამდე ხომ სულ მე ვლიდერობდი ტურნირს და მხოლოდ ბოლო მომენტში დაწინაურდა ესპიგი. სამაგიეროდ, მასპინძლებმა გულთადად მომილოცეს ლა-ვალეტაში საბჭოთა ნაკრები გუნდების გამარჯვება და საუბრებისას განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ჩემი თანაქალაქელი მოჭადრაკე ქალების წარმატებას. რაც შეეხება სუეტინს, მან VIII-IX ადგილები გაიყო, ხოლო პეტროუშინი X ადგილს დასჯერდა. და ბოლოს, ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, მოჭადრაკეთა ორთაბრძოლები ფართოდ შუქდებოდა პრესაში და, რაც მთავარია, ჭადრაკი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

...ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

აქ ახლა დიდი საჭადრაკო ბუმია. დიდი რაოდენობით ისტამბება წიგნები ჭადრაკის თემაზე და ამ ლიტერატურის შეძენის მსურველებიც ბევრნი არიან. ბერლინსა და ლაიფციგში გახსნილია სპეციალური მაღაზიები, სადაც საჭადრაკო ლიტერატურისა თუ ინვენტარის დიდი არჩევანია. იქნებ ეს გამოცდილება ჩვენც გადმოვიღოთ და გავხსნათ ასეთი მაღაზია თუ არა, კიოსკი მაინც. ამის ადგილი მოიძებნება, თუნდაც თბილისის ჭადრაკის სასახლეში. ჩვენს ქვეყანასთან შეთანხმებით გამომცემლობა „სპორტფერლაკმა“ დაიწყო საბჭოთა დებიუტების თეორიაზე ახალი სერიის გამოცემა. სულ ამ თემატიკაზე 24 წიგნი დაისტამბება, რომელთა ავტორები მე, პოლუგაევსკი, ტაიმანოვი და სუეტინი ვიქნებით. დიდი პატივი დამდეს და ამ სერიის პასუხისმგებელ მდივნად მიმიწვიეს. ჩემი ავტორობით უკვე ორი ხელნაწერი მოგამზადე და გამომცემლობას ჩავაბარე. ლაიფციგში ყოფნისას, ქვეყნის ნაკრებს უფროსმა მწვრთნელმა ბიოზშმა დიდი სურვილი გამოხატა მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს საქართველოს მოჭადრაკეებთან. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ საფუძველი ჩაეყაროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრათა ტრადიციას. ეს მართლაც კარგი აზრია. ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებისათვის გერმანელთა ნაკრები იდეალური სპარინგ-პარტნიორი იქნება.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ვილნიუსსა და ალმა-ათაში დაიწყო ვაჟთა და ქალთა (უმაღლესი ლიგა) ჩემპიონატები ჭადრაკში. პირველი ტურის შედეგები ასეთია: **ვილნიუსი.** ვაჭანიანმა დაამარცხა ჩეხოვი, კუპარეიჩიმა — ფსახისი, ვასიუკოვმა — რაზუვაევი, რომანიშინმა — მაკარიჩევი. ყაიმით დამთავრეს შეხვედრები ბალაშოვ-გელერმა და ცეშკოვსკი-ლპუტიანმა. სამი პარტია გადაიდო, მათ შორის თამაზ გიორგაძისა და იუსუპოვისა. **ალმა-ათა.** პირველ ტურში ბელოვამ დამარცხა გურიელი. კოზლოვსკაია-ფათალიბეკოვას და სიმონოვა-მუჩნიკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ᲐᲗᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ მერანოში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მესამე პარტია ჰიუბნერსა და კორჩნოის შორის 42-ე სვლაზე გადაიდო. მეორე დღეს ჰიუბნერს 8 სვლა დასჭირდა იმისათვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინა. მატჩის ანგარიში გახდა 2,5:1,5 ჰიუბნერის სასარგებლოდ.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. მოსკოვში დამთავრდა ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობა. გუნდური პირველობა მოიპოვეს უკრაინელებმა. მეორე ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა. მესამე ადგილი წილად ხვდა საქართველოს ნაკრებს. **სხვებთან ერთად პირად შეჯიბრებაში პირველი ადგილები მოიპოვეს თბილისელებმა ბ. აღლაძემ და დ. ჭასოშვილმა.**

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ. ალმა-ათაში გამართულ რაპირისტთა საკავშირო თასის გათამაშებაში ყველას აჯობა მასპინძელმა ს. ისაკოვმა. მეორე ადგილზე გამოვიდა რუსეთის ფედერაციის ნაკრების წევრი ვასილი პახომოვი. **მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა შარშანდელ იუნიორთა საკავშირო ჩემპიონობაში გამარჯვებულმა თბილისელმა ვლადიმერ აფციაურმა.**



● ტურნირზე გათამაშებულ პარტიათაგან რომელს გამოაყოფ-დი?

— შეჯიბრებაზე ერთ-ერთ საუკეთესო პარტიად მიიჩნიეს ჩემი და ესპიგის შეხვედრა, რომელიც ტურნირის ერთ ვითამაშეთ. ... საკუთარი ... ...